საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაქრაძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე

ბაქრაძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (5. V. 1925, ქუთაისი,–V. 2009, თბილისი), არქიტექტორი (1971).

II მსოფლიო ომის მონაწილე. დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1955). მუშაობდა საპროექტო და საპროექტო-კვლ. დაწესებულებებში. 1971-იდან პედ. საქმიანობას ეწევა თბილ. სამხატვრო აკადემიაში, 1972-იდან ინტერიერის კათედრის გამგეა. ძირითადი ნამუშევრები: თბილისში – საბურთალოს საცხოვრ. რ-ნის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტი (1956; დ. გრძელიძესთან, ი. და შ. ყავლაშვილებთან ერთად), 300 არაგველის მემორიალი, თბილისის დედაქალაქობის 1500 წლისთავის აღსანიშნავი ობელისკ-შემოსასვლელი (ორივე 1958), სასტუმრო „ივერიის“ რესტორნის დიდი დარბაზისა და ღამის ბარის (1967), ღამის კლუბის „მუხამბაზის“ (1973), საქართვ. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიღებათა დარბაზის (1976) ინტერიერები, კარდიოსარეაბილიტაციო სანატორიუმი „ქართლი“ თბილისის ზღვაზე (1987); ბათუმში – სასტუმრო „მედეა“ (1987; ბოლო ხუთი ობიექტი ნ. ჯობაძესთან ერთად) და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ., მ. შ. საბრძოლო ჯილდოები.

ს. კინწურაშვილი

მ. მაისურაძე